ქართული ენა და ლიტერატურა (I - VI კლასები)
საგნობრივი ცოდნა

1	დ
2	ა
3	ა
4	ბ
5	გ
6	ა
7	ბ
8	დ
9	დ
10	ა
11	ა
12	გ

13	მაქსიმალური ქულა: 1
	1 ქულა: მოცემულია სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვით გამოხატული ქვემდებარისა და მრავლობითის ფუძით წარმოდგენილი რიცხვში მონაცვლე ზმნის ნებისმიერი შესიტყვება/კომბინაცია. **0 ქულა:** • მოყვანილია არამართებული მაგალითი; • პასუხი არ არის მოცემული.
14	მაქსიმალური ქულა: 1
	1 ქულა: მოყვანილია 3 წინადადება, რომლებშიც (თითოეულ მათგანში) ქვემდებარე სხვადასხვა მეტყველების ნაწილით არის წარმოდგენილი. **0 ქულა:** • მოყვანილია არამართებული მაგალითები; • პასუხი არ არის მოცემული.
15	მაქსიმალური ქულა: 8

შეცდომა	**უნდა იყოს**
შეცქეროდა	*შესცქეროდა*
ყინვისგან და შიმშილისგან	*ყინვისა და შიმშილისგან*
საგზლათ	*საგზლად*
პურის ნატეხები ..... დადო	*პურის ნატეხები ..... დააწყო, დაალაგა*

<table>
<tr><td></td><td>

- თითოეული შეცდომის გასწორება და შესაბამისი დასაბუთება ფასდება 2 ქულით;
- მხოლოდ შეცდომის გასწორება, სათანადო დასაბუთების გარეშე, ფასდება 1 ქულით;
- სწორად დაწერილი სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში, შეფასებას აკლდება 1 ქულა.

</td></tr>
<tr><td rowspan="2">16</td><td>მაქსიმალური ქულა: 2</td></tr>
<tr><td>

2 ქულა: მოცემულია მსჯელობა ფაბულისა და სიუჟეტის განსხვავებულობაზე და საილუსტრაციოდ სწორად არის მოხმობილი ლიტერატურული ნაწარმოები, დასახელებულ ნიმუშში გამოკვეთილია ფაბულა და სიუჟეტი.

1 ქულა:

- მოცემულია სწორი მსჯელობა ფაბულისა და სიუჟეტის განსხვავებულობაზე, თუმცა არ არის მითითებული საილუსტრაციოდ ლიტერატურული ნაწარმოები;
- მოცემულია სწორი მსჯელობა ფაბულისა და სიუჟეტის განსხვავებულობაზე, საილუსტრაციოდ მოხმობილია ლიტერატურული ნაწარმოები, თუმცა მასში მართებულად არ არის გამოკვეთილი ფაბულა და სიუჟეტი;
- მოცემულია მსჯელობა ფაბულისა და სიუჟეტის განსხვავებულობაზე და მხოლოდ დასახელებულია ლიტერატურული ნაწარმოები;
- არ არის მოცემული მსჯელობა ფაბულისა და სიუჟეტის განსხვავებულობაზე, მაგრამ დასახელებულია ლიტერატურული ნაწარმოები და ადეკვატურად არის მასში გამოყოფილი ფაბულა და სიუჟეტი.

0 ქულა:

- დასახელებულია მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოები, არ არის მასში გამოყოფილი სიუჟეტისა და ფაბულის მახასიათებლები;
- მოყვანილი მაგალითი და წარმოდგენილი მსჯელობა არაადეკვატურია;
- პასუხი არ არის მოცემული.

</td></tr>
<tr><td>17</td><td>

მაქსიმალური ქულა: 1

<table>
<tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr>
<tr><td>5</td><td>2</td><td>3</td><td>4</td></tr>
</table>

</td></tr>
<tr><td>18</td><td>

მაქსიმალური ქულა: 1

<table>
<tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr>
<tr><td>1</td><td>1</td><td>2</td><td>2</td></tr>
</table>

</td></tr>
<tr><td>19.1</td><td>მაქსიმალური ქულა: 2</td></tr>
<tr><td></td><td>

2 ქულა: მოცემულია სწორი, ამომწურავი პასუხი, მსჯელობა ლოგიკური და ადეკვატურია.

1 ქულა:

- პასუხი არასრულია;

</td></tr>
</table>

	• სქემატური და ზედაპირულია. **0 ქულა**: • პასუხი არაადეკვატურია, არასწორია. • პასუხი არ არის მოცემული.
19.2	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: მოცემულია სწორი, ამომწურავი პასუხი, მსჯელობა ლოგიკური და ადეკვატურია. **1 ქულა**: • პასუხი არასრულია; • სქემატური და ზედაპირულია. **0 ქულა**: • პასუხი არაადეკვატურია, არასწორია; • პასუხი არ არის მოცემული.
20.1	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: • სწორად არის ამოწერილი და განმარტებული 2 მეტაფორული სახე; • სწორად არის ამოწერილი 2 მეტაფორა, თუმცა, სრულყოფილად არის განმარტებული მხოლოდ 1. **1 ქულა:** • სწორად არის ამოწერილი და განმარტებული 1 მეტაფორული სახე; • განმარტების გარეშე ამოწერილია ორი მეტაფორული სახე. **0 ქულა:** • განმარტების გარეშე ამოწერილია ერთი მეტაფორული სახე; • მეტაფორული სახეები არ არის სწორად ამოწერილი; • პასუხი არ არის მოცემული.
20.2	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: • სწორად არის გააზრებული დავალების ორივე ნაწილი, პასუხი სრული და ამომწურავია. **1 ქულა:** • სწორად არის გააზრებული დავალების ორივე ნაწილი, თუმცა მსჯელობა სქემატური და ზედაპირულია; • მსჯელობა დამაჯერებელი და ლოგიკურია, თუმცა შეეხება დავალების მხოლოდ ერთ ნაწილს.

	0 ქულა: • პასუხი შეეხება დავალების მხოლოდ ერთ ნაწილს, მსჯელობა არადამაჯერებელი და ზედაპირულია; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
20.3	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: პასუხი სრულყოფილია, მსჯელობა ლოგიკური და დამაჯერებელია. **1 ქულა:** პასუხი არ არის სრულყოფილი, მსჯელობა სქემატური და ზედაპირულია. **0 ქულა:** • მსჯელობა არაადეკვატურია, არარელევანტურ საკითხებს შეეხება; • პასუხი არ არის მოცემული.
21.1	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: მსჯელობისას გამოკვეთილია მასწავლებლის რამდენიმე თვისება და მითითებულია ტექსტიდან სათანადო ფრაზები. **1 ქულა**: გამოკვეთილია მასწავლებლის რამდენიმე თვისება, თუმცა მსჯელობა სქემატურია. **0 ქულა:** • დასახელებულია მასწავლებლის მხოლოდ ერთი ან ორი თვისება; • დასახელებულია არაადეკვატური თვისებები; • პასუხი არ არის მოცემული.
21.2	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: სწორად არის მითითებული ეპიზოდის დანიშნულება, მსჯელობა სრულია, გამყარებულია ადეკვატური ფრაზებით ტექსტიდან. **1 ქულა:** ეპიზოდის დანიშნულება სწორად არის მითითებული, თუმცა პასუხი სქემატურია, ზედაპირულია. **0 ქულა:** • არასწორად არის მითითებული ეპიზოდის დანიშნულება; • პასუხი არ არის მოცემული.
21.3	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: მსჯელობისას გამოკვეთილია პეპის ხასიათის თავისებურება, მისი განსაკუთრებულობა და უნიკალურობა. ამასთან, მსჯელობა შეეხება ავტორის დამოკიდებულებას პეპის პერსონაჟის მიმართ. **1 ქულა:** • მსჯელობა შემოიფარგლება პეპის თვისებების დასახელებით; • პასუხი შეეხება ავტორის დამოკიდებულებას პეპის მიმართ, თუმცა, მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია.

	0 ქულა: • მსჯელობა არ არის წარმოდგენილი; • პასუხი არ არის სწორი; • პასუხი არ არის მოცემული.
21.4	მაქსიმალური ქულა: 2
	2 ქულა: • მსჯელობისას გამოკვეთილია პეპის ადეკვატური თვისებები, მსჯელობა გამყარებულია შესაბამისი ფრაზებით ტექსტიდან. **1 ქულა:** • სწორად არის დასახელებული პეპის ერთი თვისება, ამოწერილია შესაბამისი ფრაზები ტექსტიდან; • სწორად არის დასახელებული რამდენიმე თვისება, თუმცა, მსჯელობა არ არის გამყარებული შესაბამისი ფრაზებით ტექსტიდან. **0 ქულა:** • სწორად არის დასახელებული პეპის მხოლოდ ერთი თვისება; • დასახელებული თვისებები არ არის ადეკვატური; • პასუხი არ არის მოცემული.
21.5	მაქსიმალური ქულა: 3
	3 ქულა: მოყვანილია კომიზმის ორი ნიმუში და წარმოდგენილია სრულყოფილი დასაბუთება (კომიზმის განმარტებით/მახასიათებლებით). **2 ქულა:** მოყვანილია კომიზმის ორი ნიმუში და წარმოდგენილია დასაბუთება (კომიზმის განმარტების გარეშე). **1 ქულა:** • მოყვანილია კომიზმის ორი ნიმუში დასაბუთების გარეშე; • მოყვანილია კომიზმის ერთი ნიმუში და წარმოდგენილია დასაბუთება (კომიზმის განმარტების გარეშე). **0 ქულა:** • მოყვანილია კომიზმის ერთი ნიმუში დასაბუთების გარეშე; • მოყვანილი ნიმუში არაადეკვატურია; • პასუხი არ არის მოცემული.

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

22	ბ
23	გ
24	ა
25	ბ
26	დ
27	გ
28	ა

ანალიტიკური წერა

29	მაქსიმალური ქულა: 11
	I. შინაარსის რელევანტურობა* *ნაშრომი შეესაბამება მოცემულ საკითხს, პასუხობს დასმულ ამოცანებს.* **2 ქულა:** • ნაშრომი პასუხობს დავალების ყველა მოთხოვნას, არ შეეხება არარელევანტურ საკითხებს. **1 ქულა:** • ნაშრომი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს დავალების მოთხოვნებს; • ნაშრომი პასუხობს დავალების მოთხოვნებს, თუმცა, მოცემულია არარელევანტური ინფორმაციაც. **0 ქულა:** • ნაშრომი არ პასუხობს დავალების მოთხოვნებს; • შეეხება სრულიად განსხვავებულ საკითხს; • წარმოადგენს დავალების პერიფრაზს. **თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.* **II. დასაბუთება *** *ნაშრომში ავტორის პოზიცია წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთებით, მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.* **3 ქულა:** • მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, მოყვანილია დამაჯერებელი, მრავალფეროვანი, ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები, განხილულია კონტრარგუმენტები.

	2 ქულა: • მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტები მოყვანილია ყველა მოსაზრებისთვის; • მოცემულია საკითხის შესახებ თანმიმდევრული მსჯელობა, არგუმენტითა და მაგალითით გამყარებულია მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება. **1 ქულა:** • არის დასაბუთების მცდელობა, თუმცა, არგუმენტები თუ მაგალითები ზედაპირული, ერთფეროვანი და არადამაჯერებელია. **0 ქულა**: • მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული, მოსაზრებები არ არის გამყარებული მაგალითებითა და არგუმენტებით; • მსჯელობა არ არის მოცემული (წარმოდგენილია ზოგადი მოწოდებები, სურვილები). ** ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში, აპლიკანტს დასაბუთების კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.* **III. თხრობის ორგანიზება** *ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.* **2 ქულა:** • ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. **1 ქულა:** • ნაწერში დასმულია საკითხი, თუმცა მსჯელობა ზედაპირულია, წარმოდგენილი დასკვნა არ გამომდინარეობს მსჯელობიდან; წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი სტრუქტურული ნაწილი; ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის მხოლოდ ზოგიერთი მონაკვეთი. ზოგიერთი აბზაცი ლოგიკურად არ არის გამოყოფილი. **0 ქულა:** • ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.); მოსაზრებები, ტექსტის ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურად არ არის დაკავშირებული; ნაწერში არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ნაწილები - საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა. აბზაცები არ არის გამოყოფილი ან გამოყოფილია ალოგიკურად.

	IV. სტილი, ლექსიკა *აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილისტურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.* **2 ქულა:** • ნაშრომში გვხვდება მხოლოდ უმნიშვნელო სტილური ხარვეზები, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი. **1 ქულა:** • ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს; • ნაშრომში გვხვდება მნიშვნელოვანი სტილური ხარვეზები, გამოყენებული ლექსიკა და სტილი მეტ-ნაკლებად შეეფერება საკითხს. **0 ქულა:** • ნაწერი ლექსიკურად ღარიბია; დაშვებულია რამდენიმე უხეში სტილური შეცდომა; • გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა და სტილი. **V. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია** *ნაშრომი სინტაქსურად გამართულია, ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.* **2 ქულა:** • არ არის დაშვებული სინტაქსური შეცდომები; არ არის დაშვებული ან დაშვებულია მხოლოდ უმნიშვნელო ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომები; დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. **1 ქულა:** • დაშვებულია რამდენიმე სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომა, დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. **0 ქულა:** • დაშვებულია უხეში სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, პუნქტუაციური შეცდომები; უხეშად არის დარღვეული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. იმისათვის, რომ ნაშრომი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

	• უნდა შეეხებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს; • არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს; • არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება - სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.; • შესრულებული უნდა იყოს ხელწერით, რომლის წაკითხვაც შესაძლებელია. თუ ნაშრომი არ აკმაყოფილებს ამ პირობათაგან რომელიმეს, ის შეფასდება 0 ქულით. ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I და II კრიტერიუმების მიხედვით.